

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის

2012 წლის 27 ივნისის სხდომის

ოქმი №10

სენატის სხდომას, წევრთა სიითი შემადგენლობის 27 წევრიდან, ესწრებოდა 14. სხდომას უძღვებოდა სტუ-ს სენატის სპიკერი, პროფ. ჯემალ გახოკიძე.

სხდომის თავმჯდომარემ სენატის წევრებს გააცნო დღის წესრიგი (იხ. დანართი) და კენჭისყრაზე დააყენა მისი დამტკიცების საკითხი.

წარმოდგენილი დღის წესრიგი დამტკიცდა.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის პირველი საკითხი – სტუ-ს სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე „კვების ინდუსტრიის“ დეპარტამენტის შექმნის შესახებ. აკადემიური საბჭოს დადგენილება №673 – მომხსენებელი პროფ. ოთარ გელაშვილი.

პროფ. გური შარაშენიძე: მე, როგორც სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის წარმომადგენელი სენატში, გაგაცნობთ საკითხს, რომელიც ეხება სტუ-ს სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე „კვების ინდუსტრიის“ დეპარტამენტის შექმნას. აქვე ბრძანდება, თქვენი კეთილი ნების შემთხვევაში, აღნიშნული დეპარტამენტის მომავალი უფროსი თამაზ მეგრელიძე. აღნიშნული დეპარტამენტი არ იწვევს ფინანსურ ცვლილებებს.

პროფ. დავით ჯაფარიძე: ვფიქრობ, ჯერ უნდა დამტკიცდეს ერთიანი სტრუქტურა და შემდგომ ასეთი დეპარტამენტები.

პროფ. ზურაბ ლომსაძე: სტრუქტურაზე მუშაობა მიმდინარეობს აკადემიურ საბჭოში.

პროფ. ნოდარ ქაჯაია: მიმაჩნია, რომ ტექნიკურ უმაღლეს სასწავლებელში უნდა აღდგეს მაპროფილებელი კათედრები.

სპიკერი: კათედრების აღდგენასთან დაკავშირებით ჩვენ ყველას, სენატის სახელით, შეგვიძლია მივწეროთ წერილი რექტორს. ერთიან სტრუქტურაზე მუშაობის პროცესის დასრულებამდე მივცეთ თანხმობა აღნიშნული დეპარტამენტის შექმნას.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის პირველი საკითხი. წარმოდგენილი საკითხი დამტკიცდა.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2012 წლის 27 ივნისის №10 სხდომაზე წარმოდგენილ იქნა საკითხი სტუ-ს სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე „კვების ინდუსტრიის“ დეპარტამენტის შექმნის შესახებ. აკადემიური საბჭოს 2012 წლის 29 მაისის დადგენილება №673.

სენატმა გადაწყვიტა: დამტკიცდეს სტუ-ს სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე „კვების ინდუსტრიის“ დეპარტამენტის შექმნა.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მეორე საკითხი – სტუ-ს სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე „საწარმო-ტექნოლოგიური მანქანები და მექატრონიკას“ დეპარტამენტის შექმნის შესახებ. აკადემიური საბჭოს დადგენილება №666 – მომხსენებელი პროფ. ოთარ გელაშვილი.

პროფ. გური შარაშენიძე: წარმოგიდგენთ სტუ-ს სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე შესაქმნელ კიდევ ერთ დეპარტამენტს, რომლის რეკომენდებული ხელმძღვანელი თამაზ მჭედლიშვილი აქ გვესწრება. ეს არის „საწარმო-ტექნოლოგიური მანქანები და მექატრონიკას“ დეპარტამენტი.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეორე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი დამტკიცდა.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2012 წლის 27 ივნისის №10 სხდომაზე წარმოდგენილ იქნა საკითხი სტუ-ს სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე „საწარმოო ტექნოლოგიური მანქანები და მექატრონიკას“ დეპარტამენტის შექმნის შესახებ. აკადემიური საბჭოს 2012 წლის 29 მაისის დადგენილება №666.

სენატმა გადაწყვიტა: სტუ-ს სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე „საწარმოო ტექნოლოგიური მანქანები და მექატრონიკას“ დეპარტამენტის შექმნა.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მესამე საკითხი – 2012 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში შესატანი ცვლილება – მომხსენებელი სტუ-ს პროფკომიტეტის თავმჯდომარე, პროფ. ივანე თვალავაძე.

სტუ-ს პროფკომიტეტის თავმჯდომარე, პროფ. ივანე თვალავაძე: საფინანსო-საბიუჯეტი საკითხთა კომისიაზე განვიხილეთ საკითხი, რომელიც ეხებოდა სადაზღვევო თანხის გაზრდას. სპიკერმა წამოაყენა წინადადება, რომ აღნიშნული თანხა (ყოველთვიური 3000 ლარი) გაზრდილიყო 1500 ლარით, რასაც დაეთანხმა ადმინისტრაციის ხელმძღვანელი. მოგმართავთ თხოვნით არსებული სადაზღვევო თანხა 3 000 ლარიდან გაზარდოს 5 000 ლარამდე.

პროფ. დავით ჯაფარიძე: როგორ ნაწილდება თქვენი ბიუჯეტი?

სტუ-ს პროფკომიტეტის თავმჯდომარე, პროფ. ივანე თვალავაძე: ჩვენი ბიუჯეტი შეადგენს 8 500 ლარს. აქედან 3 000 ლარი მიდის სადაზღვევო კომპანიაში, 3 500 ლარი ხელფასებში, ხოლო 2 000 ლარი დახმარებებში.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მესამე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი დამტკიცდა.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №3

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2012 წლის 27 ივნისის №10 სხდომაზე სპიკერმა, პროფ. ჯემალ გახოკიძემ წარმოადგინა სტუ-ს ადმინისტრაციასთან შეთანხმებული საკითხი 2012 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ.

სენატმა გადაწყვიტა: სტუ-ს 2012 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში განხორციელდეს ცვლილება, კერძოდ, არაფინანსური აქტივების სატვირთო და მსუბუქი ავტომობილების შეძენის მუხლიდან 9 000 ლარი გადატანილ იქნეს შრომის ანაზღაურების ხელფასის მუხლში სტუ-ს თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაზღვევის დაფინანსების გაზრდის მიზნით.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მეოთხე საკითხი – სასწავლო პროცესის დისციპლინური კომისიის რეკომენდაციის შესახებ. აკადემიური საბჭოს დადგენილება №680 – მომხსენებელი, დისციპლინარული კომისიის თავმჯდომარე, ბ-ნი მამუკა სონღულაშვილი.

დისციპლინარული კომისიის თავმჯდომარე, ბ-ნი მამუკა სონღულაშვილი: ვიცი, რომ სტუ-ში მუშაობს ელექტრონული აღრიცხვის სისტემა, რამაც ბევრი რამ სასიკეთოდ შეცვალა. კომისიამ სათითაოდ განიხილა ყველა განცხადება და ინფორმაციის სახით წარმოგიდგინე 2011-2012 წლის I სემესტრის მონაცემებს. არსებობს კრიტერიუმები: საათების 10%-მდე არასაპატიო მიზეზით გაცდენისას პიროვნებას ეძლევა გაფრთხილება, 10-დან-20%-მდე – საყვედური, ხოლო 20%-დან ზევით გაუუქმდება შრომითი ხელშეკრულება.

სასწავლო პროცესის დისციპლინური კომისიის მიერ განხილული იქნა 8 ფაკულტეტის 176 თანამშრომლის ელექტრონული აღრიცხვის სისტემის 2011-12 სასწავლო წლის პირველი სემესტრის ბოლო ექვსი კვირის მონაცემი. აქედან კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია, რეკომენდაციით მიმართოს რექტორს შემდეგი დისციპლინური ღონისძიებების გამოყენების შესახებ:

1. 131 თანამშრომლის მიმართ საპატიო მიზეზით, გაცდენების მცირე რაოდენობისა და შრომითი ხელშეკრულების სხვა მიზეზით მოშლის გამო არ იქნა გამოყენებული ადმინისტრაციული სახდელი;
2. 23 თანამშრომელს გამოეცხადოს გაფრთხილება;
3. 22 თანამშრომელს გამოეცხადოს საყვედური.

აღნიშნულ საკითხზე იმსჯელა აკადემიურმა საბჭომ და გამოიტანა შემდეგი დადგენილება:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. მიღებულ იქნეს სტუ-ს სასწავლო პროცესის დისციპლინური კომისიის რეკომენდაცია 2011-2012 სასწავლო წლის პირველი სემესტრის ელექტრონული რეგისტრაციის სისტემის ბოლო ექვსი კვირის მონაცემების განხილვის საფუძველზე პროფესორ-მასწავლებელთა მიმართ დისციპლინური ღონისძიებების (სახდელეების) გამოყენების შესახებ (რეკომენდაცია თან ერთვის);
2. გაუქმდეს სასწავლო პროცესის დისციპლინური კომისიის რეკომენდაცია 2010-2011 სასწავლო წლის მე-2 სემესტრის ელექტრონული რეგისტრაციის სისტემის ბოლო ექვსი კვირის მონაცემების მიხედვით ნატო ჩიკვილაძის, ქეთევან წერეთლისა და ეკატერინე თოფურიას მიმართ დისციპლინური ღონისძიებების გამოყენების შესახებ;

3. ელექტრონული რეგისტრაციის სისტემის მონაცემების ანალიზის შედეგები ასახულ იქნეს სახელფასო ანაზღაურების დროს 2012-2013 სასწავლო წლიდან;
4. აღდგენილი საათების შესახებ ანალიზის ინფორმაციის შესაბამისი აღრიცხვა და წარმოდგენა დაევალოს ფაკულტეტების დეკანებს;
5. შეიქმნას გაცდენილი საათების აღდგენის პროცედურის დახვეწის მექანიზმების კომისია;
6. კომისიის ხელმძღვანელობა დაევალოს პროფ. შ. ნაჭყებიას;
7. ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტმა უზრუნველყოს სათანადო ბრძანების პროექტის მომზადება.

სპიკერი: აღნიშნული ინფორმაცია აუცილებელი იყო მოგვესმინა სენატის სხდომაზე და მიგველო ცნობად.

განვიხილოთ დღის წესრიგის მეხუთე საკითხი – აზერბაიჯანის ქვეყნის მოქალაქეების სტუ-ში სწავლების მიზნით მოზიდვასთან დაკავშირებით. აკადემიური საბჭოს დადგენილება №696 – მომხსენებელი პროფ. ოთარ ზუმბურიძე.

პროფ. ოთარ ზუმბურიძე: დღეს უნივერსიტეტის შეფასების ერთ-ერთი კრიტერიუმია, თუ რამდენი უცხოელი სტუდენტი ჰყავს მას. სამწუხაროდ, ჩვენთან ჯერ ასეთი სტუდენტები არ არიან. ჩვენთან არის სწავლება ქართულ ენაზე და ეს არის პრობლემა, მაგრამ გვაქვს სურვილი დავიწყოთ სწავლება უცხო ენაზეც.

გვინდა გაცნობოთ, რომ ჩვენ მოგვმართა აზერბაიჯანის ერთ-ერთმა კომპანიამ. აღმოჩნდა, რომ აზერბაიჯანში 120 000 აბიტურიენტია და ძალიან მაღალი კონკურენციის გამო სტუდენტებს უხდებათ საზღვარგარეთ წასვლა. მათ მოგვმართეს, რათა დაედგინათ არის თუ არა საშუალება ჩვენთან სწავლისა. ყველა დეკანს მიეცა დავალება, რომ რუსულ ენაზე გაკეთდეს სილაბუსები. რაც შეეხება

სწავლის საფასურს, ამაზე იმსჯელა აკადემიურმა საბჭოს და მიიღო ასეთი დადგენილება:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

I. დამტკიცდეს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და შპს ტრეინინგ ცენტრს (ინტერნაციონალ ტრეინინგ ჩენტერ ჩაუცასუს) შორის 2012 წლის 21 ივნისს ხელმოწერილი ხელშეკრულების თანახმად (№4-2012-4) აზერბაიჯანის ქვეყნის მოქალაქეთათვის საბაკალავრო პროგრამებზე სწავლების საფასური სპეციალობების მიხედვით შემდეგი ნიხრით (ეროვნულ ვალუტაში):

1. არქიტექტურა	– 3500
2. ინფორმატიკა	– 3200
3. ავტომატური მართვა	– 3500
4. საინჟინრო ფიზიკა	– 3000
5. გამოყენებითი მათემატიკა	– 3000
6. სამოქალაქო მშენებლობა	– 3200
7. ჰიდროტექნიკური მშენებლობა	– 3000
8. მეტალურგია	– 3200
9. ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგია	– 3000
10. კვების ტექნოლოგია	– 3000
11. ეკოლოგია	– 3200
12. ფარმაცია	– 3500
13. ნავთობისა და გაზის ტექნოლოგია	– 3500
14. საავტომობილო ტრანსპორტი	– 3200
15. რკინიგზის ტრანსპორტი	– 3000
16. მექატრონიკა და მანქანათმშენებლობა	– 3000
17. ენერგეტიკა	– 3200

18. ტელეკომუნიკაცია	– 3200
19. სამედიცინო ხელსაწყოთა მშენებლობა	– 3000
20. საინფორმაციო გამზომი ტექნიკა	– 3000
21. მართვის ავტომატიზებული სისტემები	– 3200
22. კომპიუტერული ინჟინერია	– 3200
23. კომპიუტერული მეცნიერებები	– 3000
24. ჟურნალისტიკა	– 3500
25. ეკონომიკა	– 3200
26. ბიზნეს ადმინისტრირება	– 3200
27. საბანკო ტექნოლოგიები	– 3200
28. ტურიზმი	– 3500
29. თარგმნა და თარგმანთმცოდნეობა	– 3000
30. საერთაშორისო ურთიერთობა	– 3500
31. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობა	– 3500

II. დაევალოს სტუ-ს ფაკულტეტების დეკანებს 10 დღის ვადაში უზრუნველყონ მითითებული სპეციალობების მიხედვით რუსულენოვანი სასწავლო პროგრამების მომზადება.

სპიკერი: ინფორმაცია გთხოვთ მივიღოთ ცნობად.

განვიხილოთ კიდევ ერთი საკითხი, რომელიც დღის წესრიგით არ იყო გათვალისწინებული. ეს არის ცვლილებები 2012 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში, კერძოდ:

1. სტუ-ს ქართული ცეკვის ანსამბლ „მერანის“ და ვაჟ ხელბურთელთა გუნდის უცხოეთში მივლინებით გამგზავრებასთან დაკავშირებით, რაც ვერ იქნებოდა წინასწარ ბიუჯეტში გათვალისწინებული, მსუბუქი ავტომობილების შეძენის მუხლიდან 61 000 ლარი, ხოლო სუბსიდიების მუხლიდან 29 000 ლარი გადატანილ იქნეს მივლინების მუხლში.

2. სუბსიდიის მუხლიდან 50 000 ლარი გადატანილ იქნეს შრომის ანაზღაურების პრემირების მუხლში.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი, რომელიც დამტკიცდა.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №4

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2012 წლის 27 ივნისის №10 სხდომაზე სტუ-ს ადმინისტრაციის მიერ წარმოდგენილ იქნა საკითხი 2012 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ.

სენატმა გადაწყვიტა: სტუ-ს 2012 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში განხორციელდეს ცვლილებები, კერძოდ:

1. სტუ-ს ქართული ცეკვის ანსამბლ „მერანის“ და ვაჟ ხელბურთელთა გუნდის უცხოეთში მივლინებაში გამგზავრებასთან დაკავშირებით, რაც ვერ იქნებოდა წინასწარ ბიუჯეტში გათვალისწინებული, მსუბუქი ავტომობილების შეძენის მუხლიდან 61 000 ლარი, ხოლო სუბსიდიების მუხლიდან 29 000 ლარი გადატანილ იქნეს მივლინების მუხლში.

2. სუბსიდიის მუხლიდან 50 000 ლარი გადატანილ იქნეს შრომის ანაზღაურების პრემირების მუხლში.

სპიკერი: არის კიდევ ერთი საკითხი, რომელსაც წარმოგვიდგენს პროფ. მერაბ ახოზაძე.

პროფ. მერაბ ახოზაძე: წარმოგიდგენთ საკითხს სტუ-სთან „სტუდენტური სერვის ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აღნიშნულ საკითხზე იმსჯელა აკადემიურმა საბჭომ და მოგვცა თანხმობა (2012 წლის 1 ივნისის დადგენილება №690¹).

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი, რომელიც დამტკიცდა.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №5

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2012 წლის 27 ივნისის №10 სხდომაზე პროფ. მერაბ ახოზაძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-სთან „სტუდენტური სერვის ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს 2012 წლის 1 ივნისის დადგენილება №690¹.

სენატმა გადაწყვიტა: დამტკიცდეს სტუ-სთან „სტუდენტური სერვის ცენტრის“ შექმნა და მისი დებულება. ასევე, ცენტრის დირექტორად დამტკიცდეს ბ-ნი ვახტანგ ვეფხვაძე.

სპიკერმა, პროფ. ჯემალ გახოვიძემ სენატის წევრებს აუწყა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა, სენატის წევრებს მადლობა გადაუხადა სხდომაში მონაწილეობისთვის და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სენატის სპიკერი,

პროფესორი

ჯემალ გახოვიძე

სხდომის მდივანი,

სტუდენტი

თამარ ბუზიაშვილი